

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი

ვერიკო მირცხულავა

კვანტიფერონ–ტბ ოქროს ტესტის სინჯარაში და კანის
ტუბერკულინური სინჯის მნიშვნელობა
ტუბერკულოზის ნოზოკომიური ტრანსმისიის
შეფასებასა და ინფექციის კონტროლის ღონისძიებების
დანერგვაში საქართველოს სამედიცინო
დაწესებულებებში

თბილისი

2015

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ვერიკო მირცხულავა

კვანტიფერონ–ტბ ოქროს ტესტის სინჯარაში და კანის
ტუბერკულინური სინჯის მნიშვნელობა
ტუბერკულოზის ნოზოკომიური ტრანსმისიის
შეფასებასა და ინფექციის კონტროლის ღონისძიებების
დანერგვაში საქართველოს სამედიცინო
დაწესებულებებში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2015

ნაშრომი შესრულებულია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბაზაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

- | | |
|-------------------------------|--|
| ნინო ბრეგვაძე-თაბაგარი | - მედიცინის დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი |
| ჰენრი ზღუმბერგი | - ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის და როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის პროფესორი |

ოფიციალური ექსპერტები/ოპონენტები:

- | | |
|--------------------------|---|
| ამირან გამყრელიძე | - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი |
| მეთიუ მეგითი | - აშშ ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის პროფესორი |
| ნანა ქირია | - მედიცინის დოქტორი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში |

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დისერტაციის დაცვა შედგება 2015 წლის 23 ივნისს 17:00 საათზე დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის (მისამართი: 0159, თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, 2/6) საკონფერენციო დარბაზში ერთჯერადი დაცვის სადისერტაციო საბჭო #2 სხდომაზე

ავტორეფერატი დაიგზავნა 2015 წლის 8 ივნისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
მედიცინის დოქტორი

თამარ თალაკვაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ტუბერკულოზი კვლავ აღმოცენდა, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარი პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ 2007-2013 წლებში ტუბერკულოზის ინციდენტობა შემცირდა 149-დან 116-მდე, ხოლო პრევალენტობა 226-დან 163-მდე 100000 სულ მოსახლეზე, ტუბერკულოზის ეპიდმაჩვენებლები საქართველოში კვლავ საგანგაშოდ მაღალი რჩება.

საქართველო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით (MDR-TB) ავადობის მაღალი ტვირთის მქონე მსოფლიოს 27 ქვეყანას შორისაა. მულტირეზისტენტობა ნიშნავს რეზისტენტობას, სულ მცირე, იზონიაზიდის და რიფამპინის მიმართ. 2013 წელს საქართველოში ზემოაღნიშნულ 27 ქვეყანას შორის გამოვლინდა ზემდგრადი ტუბერკულოზის (XDR-TB) შემთხვევების პრევალენტობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი წილი (20%). ზემდგრადი რეზისტენტობა ნიშნავს ნებისმიერი ფთორქინოლონის და მეორე რიგის სულ მცირე ერთი რომელიმე საინექციო მედიკამენტის (კაპრეომიცინის, კანამიცინის ან ამიკაცინის) მიმართ რეზისტენტობას მულტირეზისტენტობასთან ერთად. საქართველოში, 2013 წელს MDR-TB-ის პრევალენტობა ახალ შემთხვევებში – 11%, ხოლო ნამკურნალებ შემთხვევებში 38% იყო.

2012 წლამდე საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ტუბერკულოზით ავადობის მაღალი ტვირთის მქონე ბევრ სხვა ქვეყანაში, ტუბერკულოზის დიაგნოზირება და მკურნალობა ხდებოდა ტუბერკულოზის ეროვნული

პროგრამის (ტეკ) მიერ ორგანიზებული სპეციალიზებული ფთიზიატრიული ქსელის სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში. ზოგჯერ ტუბერკულოზის დაუდგენელი ან ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევები თავდაპირველად მიმართვდნენ პირველადი ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო დაწესებულებებს და მოგვიანებით ხვდებოდნენ სპეციალიზებული ფთიზიატრიული ქსელის სამედიცინო დაწესებულებებში. ამჟამად, ტუბერკულოზის მართვას საქართველოში უზრუნველყოფენ არასპეციალიზირებული სახელმწიფო და კერძო პროვაიდერები.

ალიარებული ტუბერკულოზის ნოზოკომიური გზით გადაცემა პაციენტიდან ჯანდაცვის მუშაკზე. ტუბერკულოზის ნოზოკომიური გზით გადაცემის რისკი მაღალია ტუბერკულოზის ინფექციური ფორმების მქონე პაციენტებით მაღალი დატვირთვის მქონე დაწესებულებებში. ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტული შტამები დიდ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას, განსაკუთრებით არასრულფასოვანი ინფექციის კონტროლის პირობებში. მსგავსად სხვა დაბალი-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისა, საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებშიც არასრულფასოვანია ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის ზომები. ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის ზომები მოიცავს: ადმინისტრაციულ, საინჟინრო და პირადი დაცვის ღონისძიებებს, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ღონისძიებები.

საქართველოში არ არსებობს ჯანდაცვის მუშაკების ლატენტურ ტუბერკულოზზე რუტინული სკრინინგის პროგრამა. სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის სამედიცინო დაწესებულებებში ხელმისაწვდომია მხოლოდ

ულტრაიისფერი ნათურები და რესპირატორები. 2006 წელს საქართველოს სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის მუშაკებში დადგინდა ლატენტური ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობა, 77%-ს ლატენტური ტუბერკულოზი დაუდგინდა ორი სადიაგნოზო ტესტიდან [კვანტიფერონ–ტბ ოქროს ტესტი სინჯარაში (QFT-GIT) და კანის ტუბერკულინური სინჯი (კტს)] მინიმუმ ერთზე დადებითი შედეგით, ხოლო 50%-ს დადებითი შედეგი აღენიშნებოდა ორივე ტესტზე.

კვლევის მიზანი

წინამდებარე სადოქტორო დისერტაციის მიზანი იყო კტს და QFT-GIT როლის განსაზღვრა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში ტუბერკულოზის ნოზოკომიური გზით გადაცემის და ინფექციის კონტროლის ღონისძიებების შეფასებისას.

კვლევის ამოცანები:

1. ჯანდაცვის მუშაკებში ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობის და ინციდენტობის განსაზღვრა და მათთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების დადგენა;
2. QFT-GIT და კტს შედეგებზე ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტისა და ანამნეზში ბცვ ვაქცინაციის გავლენის შეფასება;

3. ჯანდაცვის მუშაკებში ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ქცევების დეტერმინანტების დადგენა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

მეცნიერული სიახლე

პირველად საქართველოში:

1. დადგინდა ლატენტური ტუბერკულოზის პრევლენტობა და ინციდენტობა როგორც სპეციალიზებული ფთიზიატრიული ქსელის, ასევე პირველადი ჯანდაცვის ქსელის ჯანდაცვის მუშაკებში, რაც გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ტუბერკულოზის ნოზოკომიური გზით გადაცემის რისკის შესახებ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში.
2. ლატენტური ტუბერკულოზის სერიული სკრინინგისთვის გამოყენებულ იქნა ორი ტესტი: კტს და QFT-GIT. ტესტების ერთდროულად გამოყენება მათი შედარების საშუალებას იძლევა ტუბერკულოზით ავადობის მაღალი ტვირთის მქონე ქვეყნებში ჯანდაცვის მუშაკების ლატენტურ ტუბერკულოზზე სერიული სკრინინგისას.
3. განისაზღვრა ჯანდაცვის მუშაკების ცოდნა, ინფორმირებულება, მათი დამოკიდებულება და არსებული პრაქტიკა ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან მიმართებაში.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი #19/12/2014). მასალები მოხსენდა 2010 წელს ბერლინში (გერმანია) ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა წინააღმდეგ საერთაშორისო გაერთიანების 41-ე მსოფლიო კონფერენციაზე ფილტვის ჯანმრთელობის შესახებ, 2012 წელს ორი აბსტრაქტი მოხსენდა კუალა-ლუმპურში (მალაიზია) ამავე გაერთიანების 43-ე მსოფლიო კონფერენციაზე ფილტვის ჯანმრთელობის შესახებ, 2013 წელს თბილისში (საქართველო) დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, 2014 წელს ჰრადეც-კრალოვეში (ჩეხეთში) დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების მე-11 საერთაშორისო კონფერენციაზე.

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი სადაც სრულად არის ასახული დისერტაციის ძირითადი შედეგები და შეესებამება სამეცნიერო ხარისხების მინიჭების დებულებასა და ინსტრუქციის მოთხოვნებს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბაზაზე. დისერტაცია შედგება 9 ნაწილისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდები, კვლევის

შედეგები, შედეგების განხილვა, კვლევის შეზღუდვები, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 129 ნაბეჭდ გვერდს, კვლევის შედეგები ასახულია 8 ცხრილის და 2 სქემის სახით. სამეცნიერო ლიტერატურის სია მოიცავს 120 წყაროს.

კვლევის მეთოდები

კვლევის დიზაინი და პოპულაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ორ კვლევას, თითოეული შეისწავლის შესაბამის კონკრეტულ ამოცანებს. პირველი კვლევა - პროსპექტული კოჰორტული კვლევა საქართველოში ჯანდაცვის მუშაკებში ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობის და ინციდენტობის შესახებ ჩატარდა 2009 – 2011 წწ-ში. **კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო:** 1) ასაკი 18 წელი და მეტი; 2) ჯანდაცვის მუშაკი საქართველოს სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის და პირველადი ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო დაწესებულებებიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჯანდაცვის მუშაკად განისაზღვრა ნებისმიერი პირი, რომელიც მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებაში, პაციენტთან პირდაპირი კონტაქტის მიუხედავად. კვლევაში მონაწილეობისთვის აუცილებელი იყო წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. **კვლევიდან გამოთიშვის კრიტერიუმები იყო:** ანამნეზში ტუბერკულოზის არსებობა და ალერგია ტუბერკულინზე.

კვლევის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენდა 4485 ჯანდაცვის მუშაკი, ექიმების, ექთნების და

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ჩათვლით. აქედან, 1400 ჯანდაცვის მუშაკი მუშაობდა სპეციალიზირებულ ფთიზიატრიულ ქსელში და 3085 ჯანდაცვის მუშაკი – პირველადი ჯანდაცვის ქსელში.

ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიულ კონტაქტსა და ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტებს შორის კავშირის შესაფასებლად განისაზღვრა შენარჩევის ზომა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალის და 80%-იანი კვლევის სიმძლავრის გათვალისწინებით.

მეორე კვლევა – პოპულაციური მიმოხილვითი კვლევა ჯანდაცვის მუშაკებში ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის შესახებ, ჩატარდა 2011 წლის ივლის-დეკემბერში. ამ კვლევის სამიზნე პოპულაცია და კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები წინა კვლევის იდენტური იყო. კვლევაში მონაწილეობისთვის საკმარისი იყო სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობა.

მეორე კვლევისთვის შენარჩევის ზომა დადგინდა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალის, 5%-იანი შეცდომის დასაშვები ზღვრის და კვლევის კითხვარზე წინასწარი შეფასებით 70% შემთხვევაში კონკრეტული პასუხების მოლოდინის გათვალისწინებით.

ორივე კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. გამოყენებული იქნა შერჩევის არარანდომული მეთოდი. შენარჩევის ზომა განისაზღვრა EpiInfo Version 6 Statcalc მეშვეობით.

კვლევის ეთიკის განაცხადი

ორივე კვლევა დამტკიცებული იყო ემორის უნივერსიტეტის, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო

უნივერსიტეტის და საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (ტფდევ) ეთიკის კომიტეტების მიერ. პროსპექტული კოჰორტული კვლევისთვის ჯანდაცვის მუშაკები კვლევაში ჩართულნი იყვნენ წერილობითი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. პოპულაციური მიმოხილვითი კვლევისთვის მხოლოდ ზეპირი თანხმობა იყო საკმარისი.

მონაცემთა შეგროვება

თავდაპირველად მკვლევარის მიერ ხდებოდა ჯანდაცვის მუშაკის ინტერვიუება სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით. გროვდებოდა: დემოგრაფიული ინფორმაცია (დაბადების თარიღი, სქესი, დაბადების ადგილი, ეროვნება); სამედიცინო ანამნეზი (ბცჟ ვაქცინაცია, ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტის სიხშირე, ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტი სამსახურის გარეთ, კტს ისტორია, წარსულში ტუბერკულოზის ანამნეზი); დასაქმების ისტორია (პროფესია, ჯანდაცვის მუშაკადად მუშაობის სტაჟი, თანამდებობა). ინტერვიუება ხდებოდა ქართულ ენაზე.

ინტერვიუების შემდეგ ჯანდაცვის მუშაკებს უტარდებოდათ სკრინინგი ლატენტური ტუბერკულოზზე - QFT-GIT-ით და კტს-ით. ტესტების შედეგები ფიქსირდებოდა მონაცემთა შეგროვების სპეციალურ ფორმაში. ჯანდაცვის მუშაკები, ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო თუნდაც ერთი ტესტის დადებითი შედეგით, იზზავნებოდა ტფდევ-ში შემდგომი გამოკვლევებისთვის ტუბერკულოზის დიაგნოზის გამორიცხვის მიზნით. გამოკვლევები მოიცავდა ფთიზიატრთან კონსულტაციას და გულმკერდის

რენტგენოგრაფიას. ჯანდაცვის მუშაკებს არ უტარდებოდათ ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობა, რადგან ეს არ არის მკურნალობის სტანდარტი საქართველოში.

ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მუშაკების პოპულაციური მიმოხილვითი კვლევის ფარგლებში, კვლევის ყველა სუბიექტს გადაეცა 55-შეკითხვიანი ანონიმური კითხვარი, ქართულ ენაზე, დამოუკიდებლად შესავსებად. თავდაპირველად კითხვარის პილოტირება განხორციელდა ტფდც-ის 10 ჯანდაცვის მუშაკთან. კითხვარი შემუშავდა „ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების კონცეპტუალური მოდელის“ (Health Bealife Model) საფუძველზე. ეს მოდელი ეფუძნება კონცეფციას ადამიანის მიერ დაავადების/ჯანმრთელობის მდგომარეობის 1) სიმძიმის, 2) განვითარების რისკის, 3) პრევენციული ღონისძიებების სარგებლის, და 4) პრევენციული ღონისძიებების ბარიერების აღქმის გავლენას ამ ადამიანის ქცევებზე ამ დაავადებასთან/ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად შეგროვდა ინფორმაცია: ჯანდაცვის მუშაკებში რესპირატორის, ულტრაიისფერი ნათურების გამოყენების, ლატენტური ტუბერკულოზზე ყოველწლიურად სკრინინგის და ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობისადმი მათი ცოდნის, დამოკიდებულებისა და არსებული პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა ტუბერკულოზით (მათ შორის M/XDR-TB) ინფიცირებისა და დაავადების რისკის და სიმძიმის აღქმის, ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის ღონისძიებების სარგებლის და მათი დანერგვის ბარიერების აღქმა ჯანდაცვის მუშაკების მიერ და მათი გავლენა ჯანდაცვის მუშაკების ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებულ ქცევებზე.

დამატებით შეროვდა სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია საკვლევი ჯგუფის შემდგომი დახასიათებისთვის.

ლაბორატორიული მეთოდები

ჯანდაცვის მუშაკების სკრინინგი ლატენტურ ტუბერკულოზზე განხორციელდა ორ ეტაპად. QFT-GIT-ით გამოკვლევა ჩატარდა კვლევის ყველა სუბიექტს, როგორც საბაზისო, ასევე განმეორებითი გამოკვლევისას. განმეორებითი კტს ჩატარდა მხოლოდ იმ ჯანდაცვის მუშაკებს, რომელთაც საბაზისო გამოკვლევისას ჰქონდათ კტს უარყოფითი შედეგი. ლატენტურ ტუბერკულოზზე განმეორებითი გამოკვლევა ჩატარდა 6-26 თვის ინტერვალით.

კვანტიფერონ-ტბ ოქროს ტესტი სინჯარაში

QFT-GIT შესრულდა მწარმოებლის ინსტრუქციების შესაბამისად. QFT-GIT გამოკვლევისთვის ჯანდაცვის მუშაკებიდან ვიღებდით 3 მლ ვენურ სისხლს. კვლევა მოიცავდა 2 ეტაპს: სისხლის ინკუბაციას ანტიგენებით და პლაზმაში T-ლიმფოციტების მიერ გამოყოფილი ინტერფერონ-გამას (IFN- γ) კონცენტრაციის განსაზღვრას ენზიმშეკავშირებული იმუნოსორბენტული ანალიზის (ELISA) მეშვეობით. ვენური სისხლის აღება ხდებოდა ჰეპარინის შემცველ სამ თითო მლ-იან სინჯარაში. ერთი სინჯარა შეიცავდა მხოლოდ ჰეპარინს (უარყოფით კონტროლი), მეორე

სინჯარა დამატებით შეიცავდა T-უჯრედის მიტოგენ ფიტოჰემაგლუტინინს (დადებით კონტროლს), ხოლო მესამე სინჯარა შეიცავდა *M. Tuberculosis* (MTB) სპეციფიური ESAT-6, CFP-10 და TB7.7 პეპტიდებს.

კანის ტუბერკულინური სინჯი

კტს შესრულდა მანტუს მეთოდით 0.1 მლ (5 ტუბერკულინური ერთეული) ტუბერკულინის (TubersolH, Connaught; Swiftwater, PA, USA) კანში შეყვანით წინამხრის შუა მესამედში. 48–72 საათის შემდეგ ხორციელდებოდა შედეგების წაკითხვა სპეციალურად დატრენირებული პერსონალის მიერ.

გამოყენებული დეფინიციები

კტს შედეგი შეფასდა ინდურაციის დიამეტრით მმ-ში. QFT-GIT შეფასდა IFN- γ კონცენტრაციით სე/მლ-ში. IFN- γ კონცენტრაცია >10 სე/მლ მიჩნეულ იქნა, როგორც 10 სე/მლ.

QFT-GIT დადებით შედეგი: MTB სპეციფიურ ანტიგენებზე საპასუხოდ გამოყოფილი IFN- γ კონცენტრაციას მინუს უარყოფითი კონტროლის მნიშვნელობა ≥ 0.35 სე/მლ, ამასთან გამოყოფილი IFN- γ კონცენტრაცია უარყოფით კონტროლში არსებული IFN- γ კონცენტრაციის 25%-ზე მეტი.

QFT-GIT უარყოფითი შედეგი: MTB სპეციფიურ ანტიგენებზე საპასუხოდ გამოყოფილი IFN- γ კონცენტრაციას მინუს უარყოფითი კონტროლის მნიშვნელობა < 0.35 სე/მლ, ამასთან

გამოყოფილი IFN- γ კონცენტრაცია არ აღემატებოდა უარყოფით კონტროლში არსებულ IFN- γ კონცენტრაციის 25%-ს.

QFT-GIT შედეგი განუსაზღვრელია: თუ უარყოფითი კონტროლის შედეგი > 8 სე/მლ ან თუ დადებითი კონტროლის შედეგი < 0.5 სე/მლ-ზე.

QFT-GIT კონვერსია: საბაზისო გამოკვლევისას IFN- γ კონცენტრაცია < 0.35 სე/მლ და განმეორებითი გამოკვლევისას IFN- γ კონცენტრაცია ≥ 0.35 სე/მლ, IFN- γ კონცენტრაციის ცვლილების აბსოლუტური სიდიდის მხედველობაში მიღების გარეშე.

QFT-GIT რევერსია: საბაზისო გამოკვლევისას IFN- γ კონცენტრაცია ≥ 0.35 სე/მლ და განმეორებითი გამოკვლევისას IFN- γ კონცენტრაცია < 0.35 სე/მლ, IFN- γ კონცენტრაციის ცვლილების აბსოლუტური სიდიდის მხედველობაში მიღების გარეშე.

კტს დადებითი შედეგი: ინდურაცია ≥ 10 მმ-ზე

კტს უარყოფითი შედეგი: ინდურაცია < 10 მმ-ზე

კტს ვირაჟი: ინდურაციის < 10 მმ-დან ცვლილება ≥ 10 მმ-ზე.

ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტის სიხშირე დაყოფილი იყო 4 კატეგორიად: ყოველდღიური კონტაქტი (≥ 5 დღე კვირაში), ხშირი (< 5 დღე კვირაში და \geq თვეში ორჯერ), იშვიათი ($<$ თვეში ორჯერ და \geq ერთხელ 3 თვეში) და ძალიან იშვიათი კონტაქტი ($<$ ერთხელ 3 თვეში). კვლევის მონაცემთა გაანალიზების ეტაპზე ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტი დავყავით ორ კატეგორიად: **ხშირი კონტაქტი** (\geq თვეში ორჯერ) და **იშვიათი კონტაქტი** ($<$ თვეში ორჯერ).

ლიკერტის ტიპის ხუთპუნქტიანი სკალა გამოვიყენეთ ჯანდაცვის მუშაკების დამოკიდებულების შესაფასებლად. ტუბერკულოზით ინფიცირების რისკის აღქმა იზომებოდა

ხუთდონიანი ცვლადის გამოყენებით, სადაც 1 უჩვენებდა ინფიცირების რისკის აღქმის არქონას, ხოლო 5 – ტუბერკულოზით ინფიცირების რისკის მძაფრ აღქმას. ლატენტური ტუბერკულოზის სიმძიმის აღქმა ასევე შეფასდა ხუთდონიანი ცვლადის გამოყენებით, სადაც 1 უჩვენებდა სრულ თანხმობას, ხოლო 5 – სრულ უარყოფას ლატენტური ტუბერკულოზით და ტუბერკულოზით დაავადების საშიშროებაზე.

სტატისტიკური ანალიზი

კვლევის მონაცემები შეყვანილი იქნა REDCap (Research Electronic Data Capture) ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. REDCap არის უსაფრთხო, ინტერნეტზე დაფუძნებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიქმნა სამეცნიერო კვლევების მონაცემთა მართვისთვის. სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Statistics 19 ვერსიაში.

სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოიცავდა ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობას, ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტების (კტს და QFT-GIT) კონვერსიის მაჩვენებლებს, კონკორდანტობას ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ორი ტესტის (კტს და QFT-GIT) შედეგებს შორის და ამ ტესტების (კტს და QFT-GIT) შედეგებსა და რისკ-ფაქტორებს შორის კავშირის მაჩვენებლებს. ანალიზის შედეგები ასევე მოიცავდა ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მუშაკების ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის დეტერმინანტების მაჩვენებლებს.

დადებითი კტს-ის პრევალენტობა განისაზღვრა კვლევის 308 სუბიექტში. დადებითი QFT-GIT პრევალენტობა განისაზღვრა კვლევის 319 სუბიექტში.

კონკორდანტობა ლატენტური ტუბერკულოზის ორ სადიაგნოზო ტესტს (კტს და QFT-GIT) შორის შეფასდა კაპა (κ) სტატისტიკის გამოყენებით, სადაც $\kappa > 0.75$ ნიშნავს მაღალ კონკორდანტობის, $\kappa = 0.4 - 0.75$ - საშუალო კონკორდანტობას, ხოლო $\kappa < 0.4$ ნიშნავს დაბალ კონკორდანტობას.

მრავალცვლადიანი ანალიზი განხორციელდა ლოგარითმული რეგრესიის მეთოდით. გამოსავლის ცვლადები იყო კტს (დადებითი vs. უარყოფითი შედეგი) და QFT-GIT (დადებითი vs. უარყოფითი შედეგი). ლოგარითმული რეგრესიის საბოლოო მრავალცვლადიანი მოდელი მოიცავდა სტატისტიკურ და ეპიდემიოლოგიურ კრიტერიუმებზე, ასევე ადრე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დადგენილი რისკ-ფაქტორების ამსახველ ცვლადებს. P (ალბათობის) სიდიდე ≤ 0.05 მიღებული იქნა, როგორც სტატისტიკურად სარწმუნო. უკიდურესი მნიშვნელობები (outliers) ამოღებულ იქნა საბოლოო სტატისტიკური ანალიზიდან.

კტს და QFT-GIT კონვერსიის რიცხვი 100 ადამიანი-წელიწადი მაჩვენებელზე (ლატენტური ტუბერკულოზის ინციდენტობა) განისაზღვრა კონვერსიის შემთხვევების რაოდენობის გაყოფით ადამიანი-დრო საერთო მაჩვენებელზე. კტს და QFT-GIT კონვერსიასა და სავარაუდო რისკ-ფაქტორებს შორის კავშირი შეფასდა ერთცვლადიანი და მრავალცვლადიანი ლოგარითმული რეგრესიის მეთოდით.

ჯანდაცვის მუშაკებში ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტების შედეგებს შორის კონკორდანტობის წილის შედარება მოხდა: ბცჟ ნაწიბურის მქონე და არ მქონე

და ტუბერკულოზით დაავადებულთან ხშირი და იშვიათი პროფესიული კონტაქტის მქონე და არმქონე კვლევის სუბიექტებს შორის. პროპორციები შედარდა ორი-პროპორციის z-ტესტით. ასევე, საბაზისო და განმეორებითი გამოკვლევისას დადებითი QFT-GIT შედეგების წილი შედარდა ტუბერკულოზით დაავადებულთან ხშირი და იშვიათი პროფესიული კონტაქტის მქონე კვლევის სუბიექტებს შორის. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იქნა მაკენმარის ტესტი.

ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის შესახებ ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის დეტერმინანტების დასადგენად გამოვიყენეთ მრავალცვლადიანი ლოგარითმული რეგრესია. ლოგარითმული რეგრესიის მრავალცვლადიან მოდელები მოიცავდნენ ცვლადებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ სტატისტიკურ და ეპიდემიოლოგიურ კრიტერიუმებს და ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულების კონცეპტუალური მოდელის კონგრუენტული იყვნენ. ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მუშაკთა ცოდნასა და მათ დამოკიდებულებებს შორის კავშირი შეფასდა მან-უიტნის U-ტესტით.

კვლევის შედეგები და განხილვა

საკვლევი ჯგუფი

კვლევაში სულ ჩაერთო 319 ჯანდაცვის მუშაკი. ყველა პირს ჩაუტარდა QFT-GIT –ით საბაზისო გამოკვლევა. 59 ჯანდაცვის მუშაკს არ ჩაუტარდა კტს–ით საბაზისო გამოკვლევა (48

მონაწილემ აღნიშნა კტს დადებითი შედეგი წარსულში, ხოლო 11 მონაწილემ უარი განაცხადა კტს-ით გამოკვლევაზე). საკვლევი ჯგუფის (n = 319) მახასიათებლები აღწერილია ცხრილში #1. კვლევის სუბიექტთა უმრავლესობა იყო ქალი (81%), რაც ასახავდა ჯანდაცვის მუშაკების გენდერულ შემადგენლობას სპეციალიზირებულ ფთიზიატრიულ ქსელში. საშუალო ასაკი იყო 41 წელი (სტანდარტული გადახრა [SD], 11.4 წელი); კვლევის სუბიექტების 86% იყო თბილისიდან; 60% (n=193) მონაწილე მუშაობდა სპეციალიზირებულ ფთიზიატრიულ ქსელში, ხოლო 39% (n=116) პირველადი ჯანდაცვის ქსელში. ჯანდაცვის მუშაკთა 50%-მა აღნიშნა ტუბერკულოზით დაავადებულთან ხშირი (≥თვეში ორჯერ) პროფესიული კონტაქტი. ჯანდაცვის სფეროში მუშაობის საშუალო სტაჟი იყო 17 წელი (SD, 12.6 წელი).

ცხრილი # 1. კვლევის პოპულაციის მახასიათებლები (N = 319)	
მახასიათებელი	No. (%)
დემოგრაფიული მახასიათებლები	
ასაკი, წ	
18-32	84 (26 %)
33-41	76 (24 %)
42-49	81 (25 %)
≥ 50	78 (25 %)
მდედრ. სქესი	259 (81 %)
ქართველი	305 (96 %)
განათლება	
უმაღლესი	230 (72 %)
საშუალო ტექნიკური	68 (21%)
საშუალო და არასრული საშუალო	21 (4 %)
ბცჟ ნაწიბური ინსპექციით	244 (77 %)

სამუშაო ადგილი	
თბილისი	274 (86 %)
სხვა	45 (14 %)
ჯანდაცვის დაწესებულება	
სპეციალიზირებული სტაციონარი	121 (38 %)
სპეციალიზირებული ამბულატორია	72 (23 %)
არასპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულება	126 (39 %)
პროფესია	
ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი	92 (29 %)
ლაბორატორიის მუშაკი	22 (7 %)
სტუდენტები	14 (4 %)
ექთნები	51 (16 %)
ექიმები	116 (36 %)
სხვა	24 (8 %)
ჯანდაცვის სფეროში მუშაობის სტაჟი	
0-4	71 (22 %)
5-14	81 (25 %)
15-24	72 (23 %)
>25	95 (30 %)
ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტის სიხშირე	
ყოველდღიური (≥ კვირაში 5 დღე)	101 (32%)
ხშირი (<5 დღე კვირაში და ≥ თვეში ორჯერ)	58 (18 %)
იშვიათი (≤ თვეში ორჯერ და ≥ კვარტალში ერთხელ)	61 (19 %)
ძალიან იშვიათი (<კვარტალში ერთხელ)	99 (31 %)
ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტი სამსახურის გარეთ	74 (23 %)

ჯანდაცვის მუშაკებში ტუბერკულოზის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ქცევის დეტერმინანტების შესაფასებლად ჩატარებულ პოპულაციურ

მიმოხილვით კვლევაში მონაწილეობა შესთავაზეს სულ 298 ჯანდაცვის მუშაკს, მათგან 58 სუბიექტმა (19%) უარი განაცხადა. საკვლევი ჯგუფის მახასიათებლები (n = 240) აღწერილია ცხრილში #2. საშუალო ასაკი იყო 44.3 წელი (SD, 11.4 წელი), მონაწილეთა უმრავლესობა იყო ქალი (90%) რაც ასახავს ჯანდაცვის მუშაკების გენდერულ განაწილებას სპეციალიზებული ფთიზიატრიული ქსელის დაწესებულებებში. ჯანდაცვის მუშაკების 54% იყო თბილისიდან, 57% მუშაობდა ტუბსაწინააღმდეგო ქსელში. რესპირატორები უმეტესწილად ხელმისაწვდომი იყო ჯანდაცვის მუშაკების მხოლოდ 65%-თვის. 48% იყო ექიმი, ხოლო 39% – ექთანი. ჯანდაცვის სფეროში მუშაობის საშუალო სტაჟი იყო 19.7 წელი (SD, 10.9 წელი).

ცხრილი #2. საკვლევი ჯგუფის მახასიათებლები (N=240)	
მახასიათებელი	No. (%)
დემოგრაფიული მახასიათებლები	
ასაკი, წ	
≤ 25	59 (25 %)
36 – 44	59 (25 %)
45 – 51	59 (25 %)
>60	57 (24 %)
მონაცემები არ არის	6 (2 %)
მდედრ. სქესი	216 (90 %)
სამუშაო ადგილი	
თბილისი	130 (54 %)
სხვა	110 (46 %)
სამედიცინო დაწესებულება	

სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულება	136 (57 %)
არასპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულება	104 (43 %)
რესპირატორი ხელმისაწვდომია (უმეტესი დროის განმავლობაში)	
სპეციალიზირებული სტაციონარი	35 (92 %)
სპეციალიზირებული ამბულატორია	77 (79 %)
არასპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულება	45 (45 %)
ძირითადად მუშაობს ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან	136 (57 %)
პროფესია	
ექიმი	114 (48 %)
ექთანი	94 (39 %)
სხვა	27 (11 %)
გამოტოვებული	5 (2 %)
ჯანდაცვის სფეროში მუშაობის სტაჟი	
≤ 5	26 (11 %)
6-20	98 (41 %)
21-34	80 (33 %)
35 ≤	22 (9 %)
მონაცემები არ არის	14 (6 %)

დადებითი კტს და დადებითი QFT-GIT პრევალენტობა

საბაზისო გამოკვლევებისას დადებითი კტს პრევალენტობა გამოვლინდა 63% (193/308), ხოლო დადებითი QFT-GIT პრევალენტობა – 46%-ში (147/319). ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობა ორივე სადიაგნოზო ტესტით იყო 39% (121/308). ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობა ორიდან ერთ-ერთი სადიაგნოზო ტესტით იყო 69% (219/319). სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის

ჯანდაცვის მუშაკების 55%-ს (107/193), ხოლო პიველადი ჯანდაცვის ქსელის მუშაკების - 32%-ს (40/126) ($p < 0.0001$) ჰქონდა დადებითი QFT-GIT საბაზისო გამოკვლევისას. სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის ჯანდაცვის მუშაკების 68%-ს (128/188) ხოლო პირველადი ჯანდაცვის ქსელის მუშაკების 54%-ს (65/120) ($p = 0.01$) ჰქონდა დადებითი კტს საბაზისო გამოკვლევისას.

ლატენტური ტუბერკულოზის პრევალენტობის რისკ-ფაქტორები

მრავალცვლადიანი ანალიზით საბაზისო გამოკვლევისას კტს-ის დადებითი შედეგი ასოცირებული იყო მხოლოდ მზარდ ასაკთან. ჯანდაცვის მუშაკებს ასაკობრივ ჯგუფებში: 33-41 წწ (მისადაგებული შანსების თანაფარდობა [aOR] 3.63, 95% სარწმუნოების ინტერვალი [CI] 1.65-7.97), 42-49 წწ (aOR 2.77, 95% CI 1.29-5.95) და ≥ 50 წელი (aOR 3.91, 95% CI 1.69-9.04) კტს-ის დადებითი შედეგის მეტი შანსი ქონდათ, 18-32 წწ ასაკობრივი ჯგუფის ჯანდაცვის მუშაკებთან შედარებით (ცხრილი #3).

მრავალცვლადიან ანალიზში QFT-GIT დადებით შედეგთან ასოცირებული აღმოჩნდა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთან ხშირი (\geq თვეში ორჯერ) პროფესიული კონტაქტი (aOR 3.53; 95% CI 1.55-8.06) და მზარდი ასაკი. საბაზისო გამოკვლევისას ჯანდაცვის მუშაკებს ასაკობრივ ჯგუფებში: 33-41 წწ (aOR 3.36; 95% CI 1.47-7.68), 42-49 წწ (aOR 4.26; 95% CI 1.73-10.52) და ≥ 50 წელი (aOR 5.25, 95% CI 1.67-16.45) დადებითი QFT-GIT მეტი შანსი ქონდათ, ვიდრე 18-32 წწ ასაკობრივი ჯგუფის ჯანდაცვის მუშაკებს (ცხრილი # 3).

ცხრილი #3. მრავალცვლადიანი ანალიზი: ჯანდაცვის მუშაკებს შორის დადებითი კტს და QFT-GIT რისკ-ფაქტორები		
მახასიათებელი	დადებითი კტს (n=315) ^a	დადებითი QFT-GIT (n=317) ^a
	aOR (95% CI)	aOR (95% CI)
ხშირი კონტაქტი vs. იშვიათი კონტაქტი	1.03 (0.43 - 2.46)	3.53 (1.55– 8.06) ^b
ასაკი, წ		
33-41 vs. 18-32	3.63 (1.65-7.97) ^b	3.36 (1.47– 7.68) ^b
42-49 vs. 18-32	2.77 (1.29-5.95) ^b	4.26 (1.73– 10.52) ^b
≥ 50 vs. 18-32	3.91(1.69-9.04) ^b	5.25 (1.67– 16.45) ^b

კტს – კანის ტუბერკულოზური სინჯი; QFT-GIT - კვანტიფერონ–ტბ ოქროს ტესტი სინჯარაში; ხშირი კონტაქტი - \geq თვეში ორჯერ; იშვიათი კონტაქტი - ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტი < თვეში ორჯერ; ^a უკიდურესი მნიშვნელობების მქონე შემთხვევები გამოირიცხა ანალიზიდან; ^b სტატისტიკურად სარწმუნო შედეგი

კტს–ის ვირაჟი და QFT-GIT კონვერსია

163 ჯანდაცვის მუშაკს ჩაუტარდა როგორც საბაზისო ასევე განმეორებითი გამოკვლევა ლატენტურ ტუბერკულოზზე კტს–ით (ან დადებითი კტს ანამნეზში) და QFT-GIT–ით. ამათგან საბაზისო გამოკვლევისას 81–ს (49.7%) აღმოაჩნდა QFT-GIT უარყოფითი და 46–ს (28.2%) – კტს უარყოფითი შედეგი. ლატენტურ ტუბერკულოზზე საბაზისო და განმეორებით გამოკვლევებს შორის დროის მედიანა იყო 69 კვირა (დიაპაზონი 10-112 კვირა). QFT-GIT კონვერსია აღენიშნა 81–დან 24 (29,6%) ჯანდაცვის მუშაკს. კტს ვირაჟს ადგილი ჰქონდა 46–დან 19 (41.3%) ჯანდაცვის მუშაკში.

QFT-GIT კონვერსიის მაჩვენებელი (კტს-ის შედეგისგან დამოუკიდებლად) იყო 23/100 ადამიანი-წელიწადში. კტს-ის ვირაჟი (QFT-GIT-ის შედეგისგან დამოუკიდებლად) იყო 31.2/100 ადამიანი-წელიწადში. ლატენტური ტუბერკულოზის ინციდენტობა ორივე ტესტით ($n = 39$) იყო 28.6/100 ადამიანი-წელიწადში (კტს ვირაჟი $-26.7/100$ ადამიანი-წელიწადში და QFT-GIT კონვერსია $-15.3/100$ ადამიანი წელიწადში). QFT-GIT რევერსიას ადგილი ჰქონდა 82-დან 12 (14.6%) ჯანდაცვის მუშაკთან. QFT-GIT რევერსიის მაჩვენებელი იყო 11.1/100 ადამიანი-წელიწადში.

კტს ვირაჟის და QFT-GIT კონვერსიის რისკ-ფაქტორები

როგორც ერთცვლადიან, ისე მრავალცვლადიან ანალიზში, არც ერთი რისკ-ფაქტორი არ იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირებული კტს-ის ვირაჟთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 19-დან 16 (84%) კტს-ის ვირაჟი მოხდა სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის ჯანდაცვის მუშაკებში.

მრავალცვლადიან ანალიზში, მზარდი ასაკი (OR 1.14, 95% CI 1.02-1.27) ასევე ასოცირებული იყო QFT-GIT კონვერსიის შანსის ზრდასთან. გარდა ამისა, ჯანდაცვის მუშაკებს ბცჟ ნაწიბურით (OR 0.16, 95% CI 1.03-0.79) QFT-GIT კონვერსიის უფრო ნაკლები შანსი ჰქონდათ, ვიდრე ჯანდაცვის მუშაკებს ბცჟ ნაწიბურის გარეშე (ცხრილი #4). 24-დან 19 (79%) QFT-GIT კონვერსია მოხდა სპეციალიზირებული ფთიზიატრიული ქსელის ჯანდაცვის მუშაკებში.

ცხრილი #4. ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტის (QFT-GIT და კტს) კონვერსიის მრავალცვლადიანი ანალიზი.		
მახასიათებელი	QFT-GIT კონვერსია (23/80) ^a	კტს კონვერსია (19/44) ^a
	aOR (95% CI)	aOR (95% CI)
ხშირი კონტაქტი vs. იშვიათი კონტაქტი	1.12 (0.17-7.18)	3.07(0.21-43.43)
ასაკი, წ	1.14 (1.02-1.27)^b	0.98 (0.85-1.12)
ბცჟ ნაწიბური	0.16 (0.03-0.79)^b	8.29 (0.60-114.03)

კტს – კანის ტუბერკულინური სინჯი; QFT-GIT - კვანტიფერონ–ტბ ოქროს ტესტი სინჯარაში; ხშირი კონტაქტი - \geq თვეში ორჯერ; იშვიათი კონტაქტი - ტუბერკულოზით დაავადებულთან პროფესიული კონტაქტი $<$ თვეში ორჯერ; ^a უკიდურესი მნიშვნელობების მქონე შემთხვევები გამოირიცხა ანალიზიდან; ^b სტატისტიკურად სარწმუნო შედეგი

ლატენტური ტუბერკულოზის გამოკვლევის ორივე ეტაპზე დადებითი QFT-GIT

საბაზისო გამოკვლევისას QFT-GIT დადებითი შედეგის მქონე 82 ჯანდაცვის მუშაკიდან 70–ს (85%) განმეორებითი გამოკვლევისას კვლავ აღმოაჩნდა QFT-GIT დადებითი შედეგი. ლატენტური ტუბერკულოზის გამოკვლევის ორივე ეტაპზე QFT-GIT დადებითი შედეგების მქონე ჯანდაცვის მუშაკების წილი უფრო მაღალი იყო ტუბერკულოზით დაავადებულთან ხშირი (\geq თვეში ორჯერ) კონტაქტის მქონე ჯანდაცვის მუშაკებში, ვიდრე იშვიათი ($<$ თვეში ორჯერ) კონტაქტის მქონე ჯანდაცვის მუშაკებში (48% vs . 38% $p < 0.001$).

ლატენტური ტუბერკულოზის ორ სადიაგნოზო ტესტს შორის კონკორდანტობა

საბაზისო გამოკვლევისას აღინიშნა კტს–სა და QFT-GIT შორის კონკორდანტობის საშუალო მაჩვენებელი $[\kappa]=0.40$, $p<0.001$. ორ სადიაგნოზო ტესტს შორის კონკორდანტობა იყო 70% (214/308); ტესტების 30% იყო (93/308) შესაბამისად უარყოფითი, ტესტების 39% (121/308) – შესაბამისად დადებითი, 23% (72/308) აღმოჩნდა კტს დადებითი და QFT-GIT უარყოფითი, ხოლო 7% (22/308) – QFT-GIT დადებითი და კტს უარყოფითი.

განმეორებითი ტესტირებისას აღინიშნა კტს და QFT-GIT შორის კონკორდანტობის დაბალი მაჩვენებელი $[\kappa]=0.37$, $p<0.001$. კონკორდანტობა ლატენტური ტუბერკულოზის ორ სადიაგნოზო ტესტს (კტს და QFT-GIT) შორის იყო 71.8% (117/163); ტესტების 15% (25/163) იყო შესაბამისად უარყოფითი, ტესტების 56% (92/163) – შესაბამისად დადებითი, 27% (44/163) იყო კტს დადებითი და QFT-GIT უარყოფითი, ხოლო 1% (2/163) – QFT-GIT დადებითი და კტს უარყოფითი.

საბაზისო გამოკვლევისას ლატენტური ტუბერკულოზის ორი სადიაგნოზო ტესტის (კტს და QFT-GIT) კონკორდანტული შედეგების წილი უფრო მეტი იყო ჯანდაცვის მუშაკებში ბცქ ნაწიბურის გარეშე, ვიდრე ჯანდაცვის მუშაკებში ბცქ ნაწიბურით (66% vs. 81%, $p < 0.02$, $n = 308$).

კტს და QFT-GIT შედეგებს შორის დისკორდანტობა და მისი რისკ-ფაქტორები

მრავალცვლადიან ანალიზით, საბაზისო გამოკვლევისას ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტების დისკორდანტული შედეგების – კტს დადებითი / QFT-GIT უარყოფითი – მქონე ჯანდაცვის მუშაკებს ($n = 71$), უფრო ხშირად აღენიშნებოდათ ბცჟ ნაწიბური (aOR: 2.6, 95% CI: 1.12-5.83) და უფრო იშვიათად – ტუბერკულოზით დაავადებულთან ხშირი პროფესიული კონტაქტი (aOR: 0.3, 95% CI: 0.12-0.85) ვიდრე ჯანდაცვის მუშაკები ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოზო ტესტების კონკორდანტული შედეგებით ($n = 214$).

განმეორებითი ტესტირებისას, მრავალცვლადიან ანალიზში, მხოლოდ ასაკის ზრდა აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნოდ დაკავშირებული ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო ტესტების დისკორდანტულ შედეგებთან – კტს დადებითი / QFT-GIT უარყოფითი ($n = 44$), შედარებით ლატენტური ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო ტესტების კონკორდანტულ შედეგებთან ($n = 117$). კტს დადებითი / QFT-GIT უარყოფითი შედეგების შანსი უფრო დაბალი იყო 42-49 წწ ასაკობრივი ჯგუფის ჯანდაცვის მუშაკებში, ვიდრე 18-32 წწ ასაკობრივი ჯგუფის ჯანდაცვის მუშაკებში (aOR: 0.24, 95% CI: 0.07-0.84) და ჯანდაცვის მუშაკებში ასაკით ≥ 50 წელზე, ვიდრე 18-32 წწ ასაკობრივი ჯგუფის ჯანდაცვის მუშაკებში (aOR: 0.04, 95% CI: 0.01-0.26).

ტუბერკულოზით დაავადება ჯანდაცვის მუშაკებში

მხოლოდ ერთ ჯანდაცვის მუშაკს დაუდგინდა ტუბერკულოზით დაავადება ლატენტური ტუბერკულოზის გამოკვლევის შემდგომი ფთიზიატრის კონსულტაციის და გულმკერდის რენტგენოგრაფიული გამოკვლევისას. სამ ჯანდაცვის მუშაკს განუვითარდათ ტუბერკულოზი წინამდებარე კვლევის მიმდინარეობის დროს. ჯანდაცვის ამ მუშაკებს ჰქონდათ დადებითი შედეგები როგორც კტს, ისე QFT ტესტირებით 12 თვის განმავლობაში ტუბერკულოზის დადგენამდე. სავარაუდოა, რომ ტფდეც/ტეპ–ის ტუბერკულოზის ზედამხედველობის დეპარტამენტს ნაკლებად აწვდიან ინფორმაციას ჯანდაცვის მუშაკებში ტუბერკულოზის შემთხვევების შესახებ დაავადებასთან დაკავშირებული სტიგმის გამო.

ჯანდაცვის მუშაკების ცოდნა ტუბერკულოზის შესახებ

ტუბერკულოზის შესახებ ჯანდაცვის მუშაკების ცოდნის საერთო საშუალო ქულა იყო 61%. სპეციალიზებულ ფთიზიატრიულ ქსელში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებს ჰქონდათ უფრო მეტი ცოდნა ტუბერკულოზის შესახებ (69% საერთო საშუალო ქულა), ვიდრე არასპეციალიზებულ ქსელში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკებს (49.16% საერთო საშუალო ქულა; $P < 0.01$). თითქმის ყველა ჯანდაცვის მუშაკმა (98%) იცოდა, რომ ტუბერკულოზის გადაცემა ხდება აეროგენული გზით, ხოლო ჯანდაცვის მუშაკების 70% იცოდა ლატენტური ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლები. თუმცა, მხოლოდ 43%-მა

იცოდა ლატენტური ტუბერკულოზის დაავადებად პროგრესირების რისკი და მხოლოდ 30%-მა შეძლო ლატენტური ტუბერკულოზის დაავადებად პროგრესირების რისკის ჯგუფების სწორად იდენტიფიცირება. ჯანდაცვის მუშაკების უმრავლესობამ (85%), იცოდა ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის რეჟიმი, მაგრამ მხოლოდ 66%-მა იცოდა ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის არსი.

ჯანდაცვის მუშაკების დამოკიდებულება ლატენტური ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის მიმართ

ჯანდაცვის მუშაკების მხოლოდ 53% აღიქვამდა ტუბერკულოზით ინფიცირების რისკის ქვეშ ყოფნას და მხოლოდ 36%-მა გამოხატა შეშფოთება MDR-TB-ით დაინფიცირების შესახებ. ჯანდაცვის მუშაკების 48% აღიქვამდა ლატენტურ ტუბერკულოზს, როგორც სერიოზულ ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანდაცვის მუშაკების 43%-ს არ სურდა ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ მკურნალობის ჩატარების შემთხვევაშიც რჩებოდნენ ტუბერკულოზით ინფიცირების რისკის ქვეშ (ცხრილი 5).

ცხრილი # 5. ჯანდაცვის მუშაკების დამოკიდებულება ტუბერკულოზური ინფექციის და ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლის მიმართ (N=240)					
მახასიათებელი	შეუძლებელია იო. (%)	შესაძლებლობა მცირეა იო. (%)	არ მაქვს მოსაზრება იო. (%)	შესაძლებელია იო. (%)	შესაძლებლობა დიდია იო. (%)
ლტბ/ტბ განვითარების რისკის აღქმა					
მაქვს ლტბ	48 (20.0)	71 (29.6)	11 (4.6)	72 (30.0)	38 (15.8)
მექნება ლტბ სადიაგოზო ტესტის დადებითი შედეგი	22 (9.2)	65 (27.1)	25 (10.4)	99 (41.3)	29 (12.1)
გატხდები ტბ–ით ავად	35 (14.6)	75 (31.3)	14 (5.8)	104 (43.3)	12 (5.0)
მახასიათებელი					
	აბსოლუტურად ვეთანხმები იო. (%)	ვეთანხმები იო. (%)	არ მაქვს მოსაზრება იო. (%)	არ ვეთანხმები იო. (%)	აბსოლუტურად არ ვეთანხმები იო. (%)
ლტბ/ტბ სიმძიმის აღქმა					
ვშიშობ, რომ დავინფიცირდები ტბ–ით	48 (20.0)	84 (35.0)	43 (17.9)	49 (20.4)	16 (6.7)
ვშიშობ, რომ დავავადდები ტბ–ით	30 (12.5)	62 (25.8)	54 (22.5)	68 (28.3)	26 (10.8)
ვშიშობ, რომ დავინფიცირდები მულტირეზისტენტული ტბ–ით	16 (6.7)	70 (29.7)	64 (26.7)	63 (26.3)	27 (11.3)
ლტბ მალიან სერიოზული ჯანმრთელობის მდგომარეობაა	30 (12.5)	87 (36.25)	39 (16.3)	70 (29.2)	14 (5.8)

ინფექციის კონტროლის ღონისძიებების სარგებლის აღქმა					
ინფექციის კონტროლის ღონისძიებების დანერგვით შესაძლოა ტბ-ს ნოზოკომიური გზით გადაცემის პრევენცია	86 (35.8)	102 (42.5)	29 (12.1)	21 (8.75)	2 (0.8)
UV ნათურები ეფექტურია	48 (20)	119 (49.6)	54 (22.5)	12 (5)	7 (2.9)
რესპირატორი იცავს ჯანდაცვის მუშაკს ტბ-ით ინფიცირებისაგან	116 (48.3)	94 (39.2)	22 (9.2)	5 (2.1)	3 (1.3)
რესპირატორი იცავს ჯანდაცვის მუშაკს მულტირეზისტენტული ტბ-ით ინფიცირებისაგან	89 (37.1)	109 (45.4)	36 (15)	5 (2.1)	1 (0.4)
მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მუშაკების ლტბ-ზე გამოკვლევა	100 (41.7)	106 (44.2)	23 (9.6)	9 (3.8)	2 (0.8)
მნიშვნელოვანია ტბ-ით დაავადებული პაციენტების კონტაქტების (ოჯახი, მეგობრები) ლტბ-ზე გამოკვლევა	130 (54.2)	86 (35.8)	15 (6.3)	5 (2.1)	4 (1.7)
მნიშვნელოვანია ტბ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი ბავშვების ლტბ-ზე გამოკვლევა	147 (61.3)	74 (30.8)	16 (6.7)	0 (0.0)	3 (1.3)
მნიშვნელოვანია იმუნოკომპრომიტირებული პირების ლტბ-ზე გამოკვლევა	103 (42.9)	92 (38.3)	38 (15.8)	5 (2.1)	2 (0.8)
ინფექციის კონტროლის ღონისძიებების დანერგვის ბარიერების აღქმა					
UV ნათურებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯანდაცვის მუშაკებს	31 (12.9)	70 (29.2)	57 (23.8)	73 (30.5)	9 (3.8)
ლტბ სადიაგნოსტიკო ტესტის დადებითი	33 (13.8)	70 (29.2)	50 (20.8)	69 (28.8)	18 (7.5)

პასუხის შემთხვევაში არ უნდა მიმკურნალონ, ვინაიდან კვლავ ვრჩები ტბ-ით ინფიცირების რისკის ქვეშ					
ლტბ სადიაგნოსტიკო ტესტის დადებითი პასუხის შემთხვევაში არ უნდა მიმკურნალონ, ვინაიდან, მულტირეზისტენტული ი ტბ-ით ვარ ინფიცირებული	23 (9.6)	43 (17.9)	58 (24.2)	93 (38.8)	23 (9.6)
ლტბ მკურნალობის რისკები აჭარბებს ლტბ მკურნალობის სარგებელს	35 (14.6)	70 (29.2)	84 (35.0)	48 20.0)	3 (1.3)

ტბ-ტუბერკულოზი; ლტბ-ლატენტური ტუბერკულოზი; UV- ულტრაიისფერი

ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ქცევა

სპეციალიზებულ ფთიზიატრიულ ქსელში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკების მხოლოდ 78%-მა და პირველადი ჯანდაცვის ქსელის მუშაკების მხოლოდ 36%-მა დაადასტურა რესპირატორის ხშირი გამოყენება ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტისას. ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ქცევები აღწერილია ცხრილი #6.

ცხრილი # 6. ტუბერკულოზის ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ქვევები (N=240)	
მახასიათებელი	No. (%)
რესპირატორის გამოყენება: რამდენად ხშირად იკეთებთ რესპირატორს ტბ-ით დაავადებულთან კონტაქტისას?	
ხშირად	144 (60.0)
ზოგჯერ	49 (20.4)
არასოდეს	29 (12.1)
მონაცემები არ არის	18 (7.5)
UV სინათლის გამოყენება: არ მინდა ვიმუშაო იქ, სადაც გამოიყენება UV ნათურები.	
ვეთანხმები	90(37.5)
არ მაქვს მოსაზრება	53(22.1)
არ ვეთანხმები	97(40.4)
ლტბ-ზე გამოკვლევა: გინდათ ყოველწლიურად ლტბ-ზე გამოკვლევა?	
დიახ	125 (52.1)
არა	59 (24.6)
არ მაქვს მოსაზრება	45 (18.8)
მონაცემები არ არის	11(4.6)
ლტბ-ის მკურნალობა: ლტბ-ის შემთხვევაში, უნდა მიმკურნალონ	
ვეთანხმები	116 (48.3)
არ მაქვს მოსაზრება	40 (16.7)
არ ვეთანხმები	84 (35.0)

ტბ-ტუბერკულოზი; ლტბ-ლატენტური ტუბერკულოზი; UV-ულტრაიისფერი

ტუბერკულოზის შესახებ ცოდნის პრედიქტორები

მრავალცვლადიანმა ანალიზმა აჩვენა, რომ ექიმებმა ექთნებთან შედარებით უკეთესად იცოდნენ ტუბერკულოზის სიმპტომების (aOR, 1.7; 95% CI, 1.0–2.9), ტუბერკულოზის სადიაგნოზო მეთოდების (aOR, 1.9; 95% CI, 1.1–3.1), ტუბერკულოზით რისკ-ჯგუფების (aOR, 2.3; 95% CI, 1.3–4.0) და ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის არსის შესახებ (aOR, 1.5; 95% CI, 1.0–2.5). სპეციალიზებული ფთიზიატრიული ქსელის ჯანდაცვის მუშაკებმა, პირველადი ჯანდაცვის ქსელის მუშაკებთან შედარებით უკეთესად იცოდნენ ლატენტური ტუბერკულოზის დაავადებად პროგრესირების რისკის (aOR, 3.2; 95% CI, 1.6–6.4), ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების (aOR, 2.2; 95% CI, 1.0–4.8), ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის არსის (aOR, 2.3; 95% CI, 1.2–4.5) და ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობის რეჟიმის (aOR, 4.2; 95% CI, 1.6–11.1) შესახებ (ცხრილი #7).

ცხრილი # 7. მრავალცვლადიანი ანალიზი: ტუბერკულოზის შესახებ ჯანდაცვის მუშაკთა ცოდნის დონე და პრედიქტორები

ცოდნის დონე^ა და პრედიქტორები

მასასიათებელი	ლტბ მასასიათებლები, aOR (95% CI)	ლტბ-ს დაავადებულ პროგრესირების რისკი, aOR (95% CI)	ტბ დაავადების მაღალი რისკის ჯგუფები, aOR (95% CI)	ტბ სიმპტომები, aOR (95% CI)	ტბ. სადიაგნოზო მეთოდები, aOR (95% CI)	ლტბ მკურნალობის არსი, aOR (95% CI)	ლტბ მკურნალობის რეჟიმი, aOR (95% CI)
მამაკაცები vs. ქალები	1.4 (0.4, 5.5)	9.3^b (1.9, 44.9)	1.7 (0.5, 6.0)	0.6 (0.2, 2.5)	1.6 (0.5, 5.4)	1.3 (0.4, 4.40)	3.0 (0.4, 25.8)
ასაკი (60 < vs. 52 – 60 vs. 45 – 51 vs. 36 – 44 vs. ≤35)	1.3 (0.8, 2.0)	0.9 (0.6, 1.3)	1.2 (0.8, 1.8)	1.5 (0.9, 2.5)	1.2 (0.8, 1.8)	1.7^b (1.1, 2.6)	1.1 (0.6, 1.9)
პროფესია (ექიმი vs. ექთანთან vs. სხვა) ^ე	1.6 (1.0, 2.6)	1.4 (0.8, 2.3)	2.3^b (1.3, 4.0)	1.7^b (1.0, 2.9)	1.9^b (1.1, 3.1)	1.5^b (1.0, 2.5)	0.6 (0.3, 1.1)
მუშაობს ტბ პაციენტებთან vs. არ მუშაობს ტბ პაციენტებთან	1.6 (0.8, 3.2)	3.2^b (1.6, 6.4)	2.2^b (1.0 4.8)	1.6 (0.8, 3.3)	1.4 (0.7, 2.8)	2.3^b (1.2, 4.5)	4.2^b (1.6, 11.1)
მუშაობის სტაჟი, წ (35 ≤ vs. 21 - 34 vs. 6 - 20 vs. ≤ 5) ^ე	0.7 (0.4, 1.2)	0.7 (0.4, 1.3)	0.9 (0.5, 1.9)	0.6 (0.3, 1.3)	0.8 (0.5, 1.5)	0.5 (0.2, 0.9)	0.7 (0.3, 1.7)

^ატუბერკულოზის შესახებ ცოდნა შეფასდა ჯანდაცვის მუშაკის სწორი ან არასწორი პასუხით მიმოხილვითი კვლევის კითხვაზე. aOR – მისადაგებული შანსების თანაფარდობა; CI – სარწმუნოების ინტერვალი; ტბ – ტუბერკულოზი; ლტბ–ლატენტური ტუბერკულოზი; UV – ულტრაიისფერი; ^ბ სტატისტიკურად სარწმუნო ეფექტი. ^ე რიგობითი ცვლადები.

ჯანდაცვის მუშაკების ტუბერკულოზის შესახებ ცოდნასა და დამოკიდებულებებს შორის კავშირი

